სსრ კავშირის თასი

გაიმართა ფეხბურთში საბჭოთა კავშირის თასის 1986 წლის გათამაშების მერვედფინალური მატჩები.

“ზენიტი” (ლენინგრადი) - “დინამო” (თბილისი) 2:1 (1:0).

ლენინგრადი. ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონი. 12 სექტემბერი.

“ზენიტი”: ბირიუკოვი, ბარანიკი (ხარიკოვი), სტეპანოვი, კუზნეცოვი (ვორობიოვი), ვედენეევი, ლარიონოვი, დოლგოპოლოვი, ჟელუდკოვი, გერასიმოვი (ჩუხლოვი), მელნიკოვი, დმიტრიევი.

“დინამო”: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, დანელია (მესხი), მახარაძე (შენგელია), სვანაძე, სულაქველიძე, მიქაბერიძე, ცაავა, ჩელებაძე.

მსაჯი ვ. ჩეკასი (ლვოვი).

საკავშირო თასის გათამაშებათა ისტორიაში თბილისის დინამოელები, როგორც წესი, უპირატესობას აღწევდნენ ლენინგრადის “ზენიტთან” შეხვედრებში, სულ ახლახან კი საბჭოთა კავშირის პირველობის მატჩიც მოიგეს თავიანთ მინდორზე, მაგრამ ამჯერად ლენინგრადელებმა მთელი მონდომებით ითამაშეს და გაიმარჯვეს. ამ გამარჯვებით მათ მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს.

პირველ წარმატებას ზენიტელმა ჟელუდკოვმა მიაღწია მე-12 წუთზე, 28-ე წუთზე კი დმიტრიევმა მეორედ აიღო სტუმრების კარი და პირველი ტაიმიც ამ შედეგით დამთავრდა - 2:0.

დინამოელები შესვენების შემდეგ ბევრს ეცადნენ გამოესწორებინათ მდგომარეობა. ისინი განუწყვეტლივ უტევდნენ. იერიშებში ხშირად ოთხი თავდამსხმელი მონაწილეობდა. მათ ნახევარმცველებიც აქტიურად უმაგრებდნენ ზურგს. 52-ე წუთზე მიქაბერიძემ შეძლო კიდეც ერთი საპასუხო ბურთის გატანა (1:2), მაგრამ საბოლოო წარმატებისთვის ეს საკმარისი არ გამოდგა. “ზენიტმა” შეუპოვრად ითამაშა დაცვაში და გამარჯვების შენარჩუნებაც შეძლო.

“ლელო”, 19 სექტემბერი, 1985 წ.